

შპს ვი-ტაკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	4
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის.....	5
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი.....	7
3. სააღრიცხვო პოლიტიკა.....	8
4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ ..	12
5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები.....	13
6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	13
7. მარაგები.....	13
8. ძირითადი საშუალებები.....	14
9. არამატერიალური აქტივები.....	14
10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	15
11. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი.....	15
12. ამონაგები.....	15
13. სხვა შემოსავლები	16
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი.....	16
15. მიწოდების ხარჯები	16
16. მოგება/(ზარალი) საკუთარ სხვაობიდან - წმინდა	17
17. ფინანსური ხარჯები	17
18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	17
19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ	17

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024-12-31	2023-12-31
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	5	136,074	52,620
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	601,142	588,760
საგადასახადო აქტივები		2,521	-
მარაგები	7	2,590,794	2,314,190
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,330,531	2,955,570
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2,362,931	2,450,699
არამატერიალური აქტივები	9	403	474
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,363,334	2,451,173
მთლიანი აქტივები		5,693,865	5,406,743
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	224,810	1,420,630
საგადასახადო ვალდებულებები		-	5,384
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	11	388,719	190,301
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		613,529	1,616,315
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	1,373,217	839,449
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,373,217	839,449
მთლიანი ვალდებულებები		1,986,746	2,455,764
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,707,119	2,950,979
სულ საკუთარი კაპიტალი		3,707,119	2,950,979
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,693,865	5,406,743

დირექტორი

პაატა ნოზაძე

7-17 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს ვი-ტაკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024-12-31	2023-12-31
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები	5	136,074	52,620
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	601,142	588,760
საგადასახადო აქტივები		2,521	-
მარაგები	7	2,590,794	2,314,190
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,330,531	2,955,570
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	2,362,931	2,450,699
არამატერიალური აქტივები	9	403	474
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,363,334	2,451,173
მთლიანი აქტივები		5,693,865	5,406,743
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	224,810	1,420,630
საგადასახადო ვალდებულებები		-	5,384
მოკლევადიანი სესხები და გადასახდელი პროცენტი	11	388,719	190,301
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		613,529	1,616,315
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	11	1,373,217	839,449
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,373,217	839,449
მთლიანი ვალდებულებები		1,986,746	2,455,764
საკუთარი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		3,707,119	2,950,979
სულ საკუთარი კაპიტალი		3,707,119	2,950,979
მთლიანი ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		5,693,865	5,406,743

დირექტორი



პაატა ნოზაძე

7-17 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	12	2,998,010	2,968,325
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(1,403,818)	(1,372,900)
საერთო მოგება		1,594,192	1,595,425
სხვა შემოსავლები	13	504	6,818
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(392,162)	(383,115)
მიწოდების ხარჯები	15	(246,333)	(246,204)
სხვა ხარჯები		(3,429)	(11)
მოგება/(ზარალი) საკუთრობითი სხვაობიდან - წმინდა	16	(87,284)	(98,837)
საოპერაციო მოგება		865,488	874,076
ფინანსური ხარჯი	17	(109,348)	(66,400)
მოგება დაბეგრამდე		756,140	807,676
მოგების გადასახადი		-	(31,302)
წმინდა მოგება		756,140	776,374

დირექტორი

პაატა ნოზაძე

7-17 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს ვი-ტაკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	შენიშვნა	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	12	2,998,010	2,968,325
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		(1,403,818)	(1,372,900)
საერთო მოგება		1,594,192	1,595,425
სხვა შემოსავლები	13	504	6,818
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	14	(392,162)	(383,115)
მიწოდების ხარჯები	15	(246,333)	(246,204)
სხვა ხარჯები		(3,429)	(11)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა	16	(87,284)	(98,837)
საოპერაციო მოგება		865,488	874,076
ფინანსური ხარჯი	17	(109,348)	(66,400)
მოგება დაბეგვრამდე		756,140	807,676
მოგების გადასახადი		-	(31,302)
წმინდა მოგება		756,140	776,374

დირექტორი



პაატა ნოზაძე

7-17 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	2,351,921	2,351,921
წმინდა მოგება	776,374	776,374
გაცემული დივიდენდი	(177,316)	(177,316)
2023 წლის 31 დეკემბერი	2,950,979	2,950,979
წმინდა მოგება	756,140	756,140
2024 წლის 31 დეკემბერი	3,707,119	3,707,119

დირექტორი

პაატა ნოზაძე

7-17 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს ვი-ტაკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	2,351,921	2,351,921
წმინდა მოგება	776,374	776,374
გაცემული დივიდენდი	(177,316)	(177,316)
2023 წლის 31 დეკემბერი	2,950,979	2,950,979
წმინდა მოგება	756,140	756,140
2024 წლის 31 დეკემბერი	3,707,119	3,707,119

დირექტორი



პაატა ნოზაძე

7-17 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული თანხები	3,580,936	3,553,758
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	-	3,907
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2,448,806)	(2,337,923)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(283,176)	(271,496)
სხვა საოპერაციო ფულადი გასაღებები	(299,180)	(250,069)
გადახდილი პროცენტები	(109,348)	(66,400)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(31,302)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	440,426	600,475
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,095,133)	(1,416,067)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	78,000	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,017,133)	(1,416,067)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	1,127,741	3,440,356
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(462,745)	(2,519,982)
გადახდილი დივიდენდები	-	(168,450)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	664,996	751,924
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	88,289	(63,668)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	52,620	124,778
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(4,835)	(8,490)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	136,074	52,620

დირექტორი


პაატა ნოზაძე

7-17 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(თანხები მოცემულია ლარში)	2024 წელი	2023 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული თანხები	3,580,936	3,553,758
ფულადი სახსრების სხვა შემოსვლები	-	3,907
მომწოდებლებზე გადახდილი თანხები	(2,448,806)	(2,337,923)
თანამშრომლებზე გადახდილი თანხები	(283,176)	(271,496)
სხვა საოპერაციო ფულადი გასაღებები	(299,180)	(250,069)
გადახდილი პროცენტები	(109,348)	(66,400)
გადახდილი მოგების გადასახადი	-	(31,302)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	440,426	600,475
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(1,095,133)	(1,416,067)
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული თანხები	78,000	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(1,017,133)	(1,416,067)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სასესხო ვალდებულების ზრდა	1,127,741	3,440,356
სასესხო ვალდებულებების დაფარვა	(462,745)	(2,519,982)
გადახდილი დივიდენდები	-	(168,450)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	664,996	751,924
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების ზრდა (კლება)	88,289	(63,668)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საწყისი ბალანსი	52,620	124,778
გაცვლითი კურსის ეფექტისგან გამოწვეული ცვლილება	(4,835)	(8,490)
ფულადი სახსრების და ფულადი სახსრების ექვივალენტების საბოლოო ბალანსი	136,074	52,620

დირექტორი



პაატა ნოზაძე

7-17 გვერდებზე მოცემული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ვი-ტაკ ჯორჯია (შემდგომში „კომპანია“) შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად 2016 წლის 14 იანვარს. კომპანიის მფლობელები არიან: ია ხიზანიშვილი 33% და გიორგი ბერიაშვილი 67%.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ელექტროსაქონლით (განათების საშუალებებით) საბითუმო და საცალო ვაჭრობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ვაჟაფშაველას გამზ., შესახვევი I, №3, ბინა №97.

კომპანიის ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის ადგილია საქართველო, ქ. თბილისი, პ. ქავთარაძის 2ა.

2024 წლის განმავლობაში კომპანიას აგრეთვე ფლობდა მაღაზიას თელავში (ვარდოშვილის #28).

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია ქართულ ლარში და დამრგვალებულია სრულ ლარამდე.

მსს ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები მოხდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული და დამტკიცებულია 2025 წლის 15 აგვისტოს.

3. სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება მოხდა თანმიმდევრულად.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

სამუშაო და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია ეწევა საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში.

ოპერაციები და ნაშთები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის საოპერაციო ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში (უცხოური ვალუტები) წარმოებული ტრანზაქციები აღირიცხება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ტრანზაქციის დღეს დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსით.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წლის ბოლოსათვის დადგენილი ოფიციალური ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგების მუხლში, „მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან-წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი ერთეულები, რომლებიც აისახება თავდაპირველი ღირებულებით, კონვერტირდება ტრანზაქციის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მუხლები ფასდება თვითღირებულებით, რომელსაც დაკლებული აქვს ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალების ერთეულის თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით.

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი კოეფიციენტები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
სატრანსპორტო საშუალებები	15%
მანქანა-დანადგარები	15%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას რომელიც ასახულია თვითღირებულებით, საიდანაც გამოკლებულია დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. მისი ამორტიზება ხდება შემცირებადი ნაშთის მეთოდით 15% განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯი ჩაირთვება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივების აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი არამატერიალური აქტივების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, როგორც სხვა შემოსავალი/სხვა ხარჯები.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, საბაჟო გადასახადსა და სხვა აუნაზღაურებად გადასახადებს, ტრანსპორტირებისა და დატვირთვის დანახარჯებსა და ნებისმიერ სხვა პირდაპირ მიკუთვნებად დანახარჯებს.

თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდის გამოყენებით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანია ძირითად საშუალებებს და არამატერიალური აქტივებისათვის ამოწმებს ხომ არ არსებობს გაუფასურების ნიშნები. თუ ამგვარი ნიშნები არსებობს დგინდება აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება) აღდგენითი ღირებულება. აღდგენითი ღირებულება წარმოადგენს უდიდესს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის.

თუ აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) აღდგენითი ღირებულება ნაკლებია საბალანსო ღირებულებაზე, საბალანსო ღირებულება მცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების ზარალი აღიარდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის, მარაგები ფასდება გაუფასურებაზე, თითოეული მარაგის ელემენტის (ან მსგავსი მარაგების ჯგუფის) საბალანსო ღირებულების შედარებით გასაყიდ ფასთან, რომელიც შემცირებულია პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით. თუ მარაგი (ან მსგავსი მარაგების ჯგუფი) გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება

მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე, და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში რეალიზებული საქონლის თვითღირებულების მუხლში.

როდესაც ხდება გაუფასურების ზარალის შემდგომი აღდგენა, აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) საბალანსო ღირებულება იზრდება მის აღდგენითი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური იჯარა, როდესაც საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ხდება კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური აქტივები შედგება ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ექვივალენტებისაგან და სხვა საფაქრო და სხვა მოთხოვნებისაგან.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები მოიცავს ფულს საღაროში და მოთხოვნამდე ანგარიშებზე განთავსებულ ფულს.

ძირითადად გაყიდვები ხორციელდება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და მოთხოვნებს პროცენტი არ ერიცხება. საწარმო სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს თავდაპირველი აღიარებისას აფასებს გარიგების ფასით. შემდგომში ფინანსური აქტივების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება გადაიხედება, რათა მოხდეს განისაზღვროს არსებობს თუ არა მოთხოვნების გაუფასურების ობიექტური მტკიცებულებები. მათი არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

თუ შემდგომ პერიოდში აქტივის გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და ამ შემცირების ობიექტურად დაკავშირება შესაძლებელია გაუფასურების აღიარების შემდგომ წარმოშობილ მოვლენასთან, საწარმო აღადგენს წინა პერიოდებში წარმოშობილი გაუფასურების ზარალს გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, ისე რომ გაუფასურების ზარალის აღდგენის შედეგად ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება (გაუფასურების რეზერვის ანგარიშის თანხების გამოკლებით) არ იყოს იმ თანხაზე მეტი, რაც იქნებოდა აქტივის საბალანსო ღირებულება იმ შემთხვევაში, თუ წინა პერიოდებში არ მოხდებოდა გაუფასურების აღიარება. საწარმო გაუფასურების კომპენსირების თანხას დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

საწარმო წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც:

(ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან ფულადი სახსრები მთლიანად უკვე მიღებულია;

(ბ) საწარმო ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს გადასცემს სხვა მხარეს; ან

(გ) საწარმო, მიუხედავად იმისა, რომ იტოვებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, სხვა მხარეს გადასცემს აქტივის კონტროლის უფლებას.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები აღიარდება მაშინ როდესაც კომპანია ხდება სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე მხარე. ფინანსური ვალდებულებები შედგება აღებული სესხებისა და სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისაგან.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიქმნება სტანდარტული საკრედიტო პირობებით და თავდაპირველად აისახება გარიგების ფასით.

საბანკო სესხები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. საპროცენტო ხარჯი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც იგი გაწეულ იქნა და კლასიფიცირდება როგორც ფინანსური ხარჯი.

საწარმო ფინანსური ვალდებულების აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში წყვეტს, როდესაც ის შესრულდება, ე.ი. როდესაც ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს საქონლის საბითუმო და საცალო რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავლებს.

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დაბრუნებული თანხების, გადასახადებისა და მოსაკრებლების და სავაჭრო ფასდათმობისა და მოცულობის გამო ფასდაკლების გამოკლებით.

სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი აღიარება როდესაც არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ შეფასება.

ხარჯების აღიარება

ხარჯები აღიარება თუ მოსალოდნელია საწარმოს ეკონომიკური სარგებლის შემცირება, საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში აქტივების საწარმოდან გასვლის ან ვალდებულებების ზრდის საფუძველზე, რაც გამოიხატება საწარმოს საკუთარი კაპიტალის შემცირებით, რომელიც დაკავშირებული არაა მესაკუთრეებზე გაცემულ განაწილებებთან. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებას. მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება ეფუძნება წლის განმავლობაში განაწილებულ დასაბეგრ მოგებას. კომპანიის საგადასახადო ვალდებულება გამოითვლება გადასახადის იმ განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ძალაშია საანგარიშგებო თარიღისათვის.

მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა.

დივიდენდების განაწილების გარდა მოგების გადასახადი გადაიხდება იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აღნიშნული გადასახადი აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლში.

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2024 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

4. ინფორმაცია შეფასების, განუსაზღვრელობისა და განსჯის ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს. შეფასებებისა და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიიჩნევა, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა

სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად იყენებს ასევე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის განსჯის საკითხია და ემყარება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა მოსალოდნელი მოხმარება, შეფასებული ტექნიკური მოძველება, ფიზიკური ცვეთა და ფიზიკური გარემო, სადაც გამოიყენება აქტივი. ზემოაღნიშნული პირობებიდან ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების შესწორება.

5. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

(თანხები მოცემულია ლარში)	2024-12-31	2023-12-31
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	1,652	1,533
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	133,891	50,207
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	531	880
სულ	136,074	52,620

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

(თანხები მოცემულია ლარში)	2024-12-31	2023-12-31
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	538,980	586,547
გადახდილი ავანსები	62,147	2,213
სხვა მოთხოვნები	15	-
სულ	601,142	588,760

საანგარიშგებო პერიოდში ადგილი არ ქონია სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას (2023 წელს 0 ლარი).

7. მარაგები

(თანხები მოცემულია ლარში)	2024-12-31	2023-12-31
საქონელი	2,567,294	2,311,455
სხვა	23,500	2,735
სულ	2,590,794	2,314,190

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 1,369,575 ლარი (2023 წელს 1,341,513 ლარი). მიმდინარე წელს მარაგების გაუფასურებამ შეადგინა 34,243 ლარი, იგი ჩართულია რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების მუხლში (2023 წელს 31,387 ლარი).

შპს ვი-ტაკ ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

8. ძირითადი საშუალებები

(თანხები მოცემულია ლარში)	მიწის ნაკვეთები	სატრანსპორტო საშუალებები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2023	2,326,794	145,754	-	47,602	2,520,150
შემოსვლა	-	-	424	3,125	3,549
გასვლა	-	(97,863)	-	(2,018)	(99,881)
31 დეკემბერი 2024	2,326,794	47,891	424	48,709	2,423,818

ცვეთა და გაუფასურება

31 დეკემბერი 2023	-	(42,595)	-	(26,856)	(69,451)
პერიოდის ამორტიზაცია	-	(6,116)	(85)	(5,053)	(11,254)
გასვლა	-	17,799	-	2,019	19,818
31 დეკემბერი 2024	-	(30,912)	(85)	(29,890)	(60,887)

ნეტო საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2023	2,326,794	103,159	-	20,746	2,450,699
31 დეკემბერი 2024	2,326,794	16,979	339	18,819	2,362,931

კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომლის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,326,794 ლარს გამოყენებულია საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად.

9. არამატერიალური აქტივები

(თანხები მოცემულია ლარში)	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
31 დეკემბერი 2023	1,445	1,445
შემოსვლა	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2024	1,445	1,445

ამორტიზაცია და გაუფასურება

31 დეკემბერი 2023	(971)	(971)
პერიოდის ამორტიზაცია	(71)	(71)
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2024	(1,042)	(1,042)

ნეტო საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი 2023	474	474
31 დეკემბერი 2024	403	403

10. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	2024-12-31	2023-12-31
სავაჭრო ვალდებულებები	217,632	1,418,351
მიღებული ავანსები	1,184	245
გადასახდელი ხელფასები	802	1,930
სხვა ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	5,192	-
სხვა ვალდებულებები	-	104
სულ	224,810	1,420,630

11. მიღებული სესხები და გადასახდელი პროცენტი

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>		
მოკლევადიანი სესხები	2024-12-31	2023-12-31
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	388,719	190,301
სულ მოკლევადიანი სესხები	388,719	190,301
გრძელვადიანი სესხები		
გრძელვადიანი სესხები	1,373,217	839,449
სულ გრძელვადიანი სესხები	1,373,217	839,449
სულ სესხები	1,761,936	1,029,750

მოკლევადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან აღებულ სესხებს, რომლებიც დენომინირებულია ევროში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6.5%, სესხების დაფარვის ვადა შეადგენს 12 თვეს.

გრძელვადიანი სესხები წარმოადგენს ბანკიდან მიღებულ სესხებს, რომლებიც დენომინირებულია დოლარში. საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 6.8%-7.3%, ერთი სესხის დაფარვის ვადა სრულდება 2028 წლის სექტემბერში, ხოლო მეორე სესხის 2029 წლის მაისში.

ყველა საბანკო სესხი უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთით, რომლის საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 2,326,794 ლარს. სესხი დამატებით უზრუნველყოფილია დირექტორის და დამფუძნებლის თავდებობებით.

12. ამონაგები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	2024 წელი	2023 წელი
საქონლის გაყიდვა	2,998,010	2,968,325
სულ	2,998,010	2,968,325

13. სხვა შემოსავლები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	2024 წელი	2023 წელი
სადაზღვევო ზარალის ანაზღაურება	500	1,940
ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსულობა	-	2,906
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	4	1,972
სულ	504	6,818

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება	(135,161)	(139,896)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(10,981)	(23,475)
ქონების გადასახადის ხარჯი	(1,352)	(1,733)
დაზღვევის ხარჯი	(18,294)	(6,365)
კომუნიკაციის ხარჯი	(4,312)	(4,345)
კომუნალური ხარჯები	(12,005)	(10,661)
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	(984)	(2,952)
იჯარის ხარჯი	(163,972)	(135,851)
მივლინების ხარჯი	(6,495)	(11,803)
საბანკო ხარჯები	(10,121)	(17,058)
საწვავის ხარჯები	(11,460)	(12,759)
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	(17,025)	(16,217)
სულ	(392,162)	(383,115)

15. მიწოდების ხარჯები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	2024 წელი	2023 წელი
გაყიდვების თანამშრომლების შრომის ანაზღაურება	(224,365)	(220,210)
ტრანსპორტირების ხარჯი	(7,040)	(11,792)
რეკლამის ხარჯები	(14,840)	(14,202)
მიწოდების სხვა ხარჯები	(88)	-
სულ	(246,333)	(246,204)

16. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან - წმინდა

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	2024 წელი	2023 წელი
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება	112,193	29,097
საკურსო სხვაობით მიღებული ზარალი	(199,477)	(127,934)
სულ	(87,284)	(98,837)

17. ფინანსური ხარჯები

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	2024 წელი	2023 წელი
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ვალდებულებებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(109,348)	(66,400)
სულ ფინანსური დანახარჯები	(109,348)	(66,400)

18. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელები არიან: ია ხიზანიშვილი 33% და გიორგი ბერიაშვილი 67%.

საბანკო სესხი უზრუნველყოფილია დირექტორის და დამფუძნებლის თავდებობებით. უზრუნველყოფის სანაცვლოდ არ ხდება კომპენსაციის გადახდა.

დაკავშირებულ მხარეებთან სხვა ოპერაციები არ ხორციელდება.

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

<i>(თანხები მოცემულია ლარში)</i>	2024 წელი	2023 წელი
შრომის ანაზღაურება მთლიანად	45,018	43,465
სულ	45,018	43,465

19. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიის მიერ მოხდა ახალი მოკლევადიანი სესხის აღება 50,000 ევროს ოდენობით, საპროცენტო განაკვეთით-9.62%.